

კლარა ზაგლა

სახელთა თავკიდური მ-ს საკითხისათვის თანამედროვე სალიტერატურო ქართულში

XIX საუკუნის და თანამედროვე სალიტერატურო ენაში არა-იშვიათია შემთხვევები, როდესაც ერთსა და იმავე სახელს თავკიდური მ ხან აქვს და ხან არა. მხედველობაში გვაქვს ამნაირი წყვილები: მშველი და შველი, მჩვარი და ჩვარი, მწითური და წითური, მწნილი და წნილი, მდევი და დევი, მრგვალი და რგვალი და ა. შ.

წარმოვადგინოთ სათანადო ნიმუშებს:

დევი || მდევი

ჰსხედან, ვით დე ე ნ ი, სპეტაკის ყინულ გვირგვინით შემკულნი (გრ. ორბ.).
რა ბაყბაყ-დე ვ ი მე მნახეო (ილია).

გალავანში ჩრდილები... დ ე ვ ე ბ ი ვ ი თ წვანან (ლ. გოთ.).

მ დ ე ვ ე ბ ი ვ ი თ წამოწვენენ ტაფობზე ჩრდილები (კ. გამსახ.).

[გოჩამ] წინ მ დ ე ვ ე რ ი ნაბიჯი გადადგა (ლ. ქიაჩ.).

... და მალღობიდან, შემკობილი ყარყუმის ქურქით, გადმოდგებიან მ დ ე ვ ე ბ ი ვ ი თ მღუმარე მთანი (ნ. მიწ.).

ისიც მ დ ე ვ ე თ ა მმუსრველი გახლდათ (ო. ჩხ.).

აქ ისეთი ვაჟკაცები არიან, რომელნიც მ დ ე ვ ე ბ ს ა ც კ ი პასუხს ვასცემენ (ო. ჩხ.).

მ დ ე ვ ი ვ ი თ გახდება ეს ღმერთადლი ერთ-ორ წელიწადში (რ. ინან.).

დასიტხულ ავადმყოფს შემომიტევენენ ხოლმე ბობლია ლანდები, რომელნიც ზღაპრული მ დ ე ვ ე ბ ი ს დარად დაბაჯბაჯებდნენ ჩემს საწოლ ოთახში... („სამ-შობლო“).

დგმური || მდგმური

ჩვენში ბინადარ მცხოვრებს „მკვიდრი“ ჰქვია და არა „მ დ გ მ უ რ ი“, როგორც ზოგიერთ ენაში (ილია).

ვაჰ, სოფელსა ამას და მისთა მ დ გ მ უ რ თ ა (ა. ქავჭ.).

მ დ გ მ უ რ ი და სახლის პატრონი ერთმანეთს დაუახლოვდნენ (ი. ვედვე.).

ზღვარი || მზღვარი

გული, მეურჩე თავისა, ცხოვრების წინამძღვარია, და ამის გამო ჩვენს საქმეს და სიტყვას შუა ზღვარია (აკაკი).

ზღვარის დაღება ადვილია („ლელო“).

თქმისა და ქმნის შუა დიდი მზღვარია (ილია).

ჰიპოთეზას თუ დროზე არ დაუდევო მზღვარი, ესე ყოველივე სიზმრას ახსნად იქცევა (კ. გამსახ.).

და წარიშლება შენთვის მზღვარი და სიტყვა „შესდექ“ (მ. ლებ.).

კვარი || მკვარი

კვარზე გაზრდილს დამანახეთ, რაც ოცნება იყო ძველად (გ. ლეონ.).

ანთეს სამი თუ ოთხი, მკვარი (ნ. ლომ.).

მკვარი ანთეს და საბძელშიც კი შეიხედეს (მ. ჯავახ.).

ტევანი || მტევანი

[ვენახს] ისეთი ტევანები ასხია, თითოსაგან რატომ ბოთლი დენით არ გამოიწურება (დ. კლდ.).

მტევანებს ვაზი ვეღარ იჭერს, ქარვასავით ყველა ბზინავს (შ. მღვიმ.).

სამგორში მწიფს მტევანდადი (გ. ლეონ.).

ტრედი || მტრედი (ტრედისფერი || მტრედისფერი)...

ჩასჩურჩულებდა ყურშია რაღაცას ტრედის ხმაზედა (ვაჟა).

ტრედების ახლოს მწყურის ჭუჭყუკი მოისმა (ვაჟა).

მშვიდობით, ჩემო მტრედო (ი. შაჩაბ., თარგმ.).

მოგეხვევი, გაიმბორებ, ჩემო შვილო, ჩემო მტრედო (რ. ერისთ.).

ტრედის ფრად იყო ნანათი, როდესაც მე და ბიძაჩემი შინიდან კარზე გამოვედით (ნ. ლომ.).

მტრედის ფერ ცაზე მიბნედილნი ვარსკვლავნი თრთიან (გ. ტაბ.).

ღვდელი || მღვდელი

უცებ მოისმა... ბოხი და რიხიანი ხმა ონოფრე დვდლისა (ეკ. გაბ.).

ყველა სოფლის ქრისტიანებს თავ-თავიანთი ღვდელი ჰყავს (დ. მაჩხ.).

მღვდელმა წირვა ჩვეულებრივზე აღრე გამოიყვანა (ვაჟა).

ხაბამი, მოლა, ტერტერა და მღვდელი ერთად ისხდნენ (ნ. ლორთქ.).

შველი || მშველი

ქეთო შეერთა და შველივით განზე გაბტა (ი. გოგებ.).

კურდღელი, შველი, ირემი ფეხდაფეხ დამიჭერია (ს. შანშ.).

ელდინო შველივით გადაუხტებოდა (ს. შანშ.).

იმ დღესვე შეუდგნენ მშველზე ნადირობის სამუხაღის (კ. გამსახ.).

გინადირნია ამ ავაზებით? — ჭეირანზე მყოლია, ბატონო! — მშველზე? —

მშველზე ჭერარა, ბატონო! (კ. გამსახ.).

შვილდი || მშვილდი (შვილდოსნობა || მშვილდოსნობა...)

ყოველ დღეს... უმაწვილები ვარჯიშობდნენ სრბოლასა, ჭიდაობასა, ცურვასა, ბურთაობასა და შვილდოსნობაში (ილია).

საყვარელს შვილდი მოემარჯვებინა და ზედ ისარი გაედო (შ. არაგვ.).

საით წასულან მეციხოვნენი, შვილდ-კაპარუები საით დამალეს (ი. ნონეშვ.).

გიამ თბილის ტოტისაგან გააკეთა შვილდ-ისარი („სოფ. ცხოვრ.“).
[სამარხების] ინვენტარიდან აღსანიშნავია ბრინჯაოს ისრისპირები, ბრინჯაოს
ღიდი შვილდური საკინძი, რკინის სატევრისპირი („კომუნისტი“).

ჩვარი || მჩვარი

ბეჯანმა გამოიტანა თავისი „ყირიმში“, გაწმინდა ჩვრით (ე. ნინოშ.).
სახურავი ისევ დაკეტა და ხელები ჩვრით შეიწმინდა (რ. ჯაფ.).
მთელს საქართველოსთვის ფერხთა ქვეშ მჩვარებ ჰქეცვოდა (ილია).
ტოტა მჩვარი რამ წაუგე ძირში გაცვეთილ ქალამანს (ირ. ევლ.).
ეგდო ესე ეს დაღეული დედაკაცი, როგორც ჯვალის მჩვარი, დაუღევრად
გადაღებული (ე. გამსახ.).

ძორი (ძოვრი) || მძორი

ძროხამ უთხრა [ძალს]: შე უმსგავსო ძოვრო, რადა გაქვს მაგდენად შუ-
რიანი თვალიო (ი. გოგებ.).

ძორიც ძერებმა გამოათავეს (ტ. ტაბ.).

აფთარს უყვარს კაცის მძორი (გ. ლეონ.).

წვალი || მწვალი

უნდა ჰამოთ... კარგი ღვინო, რძე, კვერცხი. მცერიანი წვალი (ე. ვაბ.).
ჯერ მოგვიტანე ორი ჩარეჭი ღვინო..., მერე თუ ღორის წვალსაც ზედ-
მოაყოლებ, ამას რაღა აჯობებს (ნ. ლორთქ.).

ჯეირნის მწვალი შიშინით ცეცხლზედა დასტრიალებდეს... (გ. ორბ.).

იმათ მასპინძლობს აღაზა, ჯიხვის მწვადს უწვავს აღზედა (ვაჟა).

ჩაკვერცხილ დედალს ხლუჩავენ, მწვალი შემოდის ცვრიანი (გ. ლეონ.).

წვანილი || მწვანილი

ქალმა მოლზე დაწყო... წვანილი: ოხრაბუში, პრასი, წიწმატი (ნ. ლორთქ.).

მოთალი, თევზი, მწვანილი, აგვიჭრელებდნენ წინ სუფრას (გ. ორბ.).

მეზვრემ მწვანილი მოიტანა? (ილია).

წვერვალი || მწვერვალი

[მთის] წვერვალი ღრუბლებში იყო დამალული (ვ. ბარს.).

რამდენიმეჯერ მზემ შემოგვაჭყეიტა, ნისლებიც გადაყარა და დაგვანახა თოვ-
ლიანი მწვერვალები (ნ. კეცხ.).

მიყვარს ჩვენი მწვერვალები... (გ. ლეონ.).

წვეტი || მწვეტი

დათოვლილია მყინვარის წვეტი (ი. გრიშ.).

ხელგაშეებული ლეკური ხანჯლის ბასრი წვეტი მიწას დაეჭდო (მინ.
მრევლ.).

ვაპ, მამა-პაპის საფლავნო, კლდენო დამდგარნო მწვეტადა (ვაჟა).

აქა-იქ მოჩანს ნათალი მწვეტი წვერები მთებისა (ვაჟა).

წვირე || მწვირე (წვირიანი || მწვირიანი...)

აქ აღიღებდნენ დამპალ კინტოს, თათრულ მუხამბაზს, აბანოს წვირეს, შუა
ბაზრის კორიანტელსა (გ. ლეონ.).

ნახა, ფოლორცში მწვერულს და შავ საპყარო ავღია (ნახა).

...ვილატ... თურქი ფეხშიშველა, წვირიანი ნაკრათ თაფშეხვეული მოს-
დევს ჩვენს ეტლს ფეხდაფეხ (ნ. მიწ.).

მწვირიანი ხელით დამზადებულის ჭამა ვერაფერი სასიამოვნო იყო
(ნ. ლორთქ.).

წიფობელა || მწიფობელა

გამაძლარი წიფობელები მიძიმედ დაფრინავდნენ სოფლის თავზე
(ნ. კლდ.).

დაგვიანებული ბუდობა უფრო უცხო ქვეყნებიდან მოფრენილმა ჩიტებმა,
იციან, მაგალითად: გუგულმა, მერცხალმა, მწყერმა, მწიფობელამ და სხვ.
(აკაკი).

წკრივი || მწკრივი

მე მივდივარ გზაზე და ვხედავ, გზის პირას წკრივათ გაწოლილან ჩემი
ნაცნობები (ნ. მიწ.).

[ვაზი] სულ ლარსა და მწკრივზეა ჩარიგებული (ილია).

როცა ბატების მწკრივი გათავდა, გზაზე გამოჩნდა ორი გოგო (ნ. ლომ.).

[ბატები] მწკრივად დასხდნენ ერთმანეთის ახლოს ბანზე (ი. გოგები).

ყურადღებით ვათვალიერებთ ხრიოკ მიდამოს: ქვებით მოფენილი ძეძვიანი
ბორცვების მწკრივებს (დ. ჭავჭავ.).

წნილი || მწნილი

მექსიკელებს უყვართ წნილი... წნილი კი ნამდვილად მექსიკური სჯო-
ბია ჩვენებურს (გ. ფანჯ.).

წნილები ვიტამინებით მდიდარი, ძვირფასი საკვებია ზამთრის თვეებში
(„სოფ. ცხ.“).

დაუშვებელია წნილის შენახვა თავადილ კასრში („სოფ. ცხ.“).

150 გრ. კიტრის წნილი წვრილად დაცეპოთ („საქ. ქალი“).

ღვინო დატოვე, წნილი და ყველი (ჭ. ამირეჯ.).

თეფშით ჭონჯოლის მწნილი და პური შემოიტანა (გ. შატბ.).

წყემსი || მწყემსი

შირაქში და თრიალეთზე სად შეხვდებოდი საყდარს წყემსი კაცი?

(ვაჟა).

მწყემსი ქალი ვარ... აქ, მთის კალთებზე, ცხვარს ვაძოვებდი მამიჩემისას
(ილია).

ღამიხვდებიან მწყემსები ძროხის რძითა და ყველითა (ა. აბაშ.).

ჭადი || მჭადი (ჭადპურა || მჭადპურა, ჭადისჭადი || მჭადისმჭადი)

ჭადიჭამია ბერიძის ქალი განა ზაქარიას რძალი გახდა... (ან. ერ.-სოშტ.).

აივანზე გამოვიდა ეკვირინე ჭადებით ხელში (დ. კლდ.).

ცეცხლზე ჭადებისათვის კეცები შეელაგებინა (დ. კლდ.).

კიდემემოტეხილი ჭადი ხელში მისცა (ე. გამსახ.).

ცხელი კეცის ჭადი გავტეხოთ (ვ. ურჯუმ.).

[ესპანელებს] სიმინდისაგან გამომცხვარი ჭადები მიართვეს (გ. ფანჯ.).

კეცზე ცხვებოდა ჭადი და ხაჭაპური („ახ. კომ.“).

მე რომ ღამინახა მჭადით ხელში, ამედევნა ჭყავილით (აკაკი).

ერთი მკადის ნატეხით, ერთი ძველი ქალამნით... (გ. ლეონ).
ნეტავ თქვენისთანა პატივცემული კაცი ჩემს ნახელავს ინებებდეს და მკადი
რას მიქვია, ხაჭაპური იყოსო (ო. იოს.).
მომენატრა... სამხრად... მზეზე გახუხული ყვითელი ჭადპური (გ. შატბ.).
[ნინიკამ] ჩააბუცებუა ლობიოში მკადპურა (ვაჟა).
გადებულ ჭოკებზე ჩამოეწყით ჭადის-ჭადის კონები (ნ. ლორთქ.).
სამზარეულოში... დეზელებს აცხობდნენ ან დიდ ჭადის-ჭადს (დ. კლდ.).

ქავლი || მქავლი

მთის მკერდზე კი საიხვე ტბა აღივლივდა გზისფერ ქავლით (გ. ლეონ).
მინდვრის პირი ტბის ქავლივით ცახცახებდა (გ. შატბ.).
ვეფხვს ნავარდი მოუნდა და წყალს გახლტა, მქავლს კუდი დაჰკრა, ვირს
წუნწკალი შეასხა (საბა).

ქვალი || მქვალი

ვაი, ვაი, ქვლები, ქვლები აღარ მაძლევენ მოსვენებას (გ. წერეთ.).
რას იტყობს... მქვალი ხომ არ აღვია? (ს. მგალობლ.).
ქვარტლი || მქვარტლი (ქვარტლიანი || მქვარტლიანი)
თრიალეთიდან ვნახეთ ღამის მსუბუქი ქვარტლი... (გ. ტაბ.).
მე დაერჩები მხოლოდ ქვარტლი (გ. ლეონ).
თუ ხალიჩას ქვარტლი მოხვდა, ლაქას მარილის ფხვნილი მოაყარეთ
(„სოფლ. ცხ.“).

თაროზე მქვარტლისაგან გაშვებული ქოთან იდგა (ა. ბელ.).

საბარგო ავტომობილზე იჯდა ვიღაც პარიკიანი მაჯლაჯუნა კაცი, რომელსაც
სიმინდის ხაშარისაგან შეხანხლული გრძელი თმა-წვერი მოსავდა, მქვარტლით
შემურტულს (კ. გამსახ.).

მოვძებნე ჩემი ქვარტლიანი ფანდური (ვაჟა).

ქუჩაში თქორი თუ ქალაქის საკვამურებიდან ამოსული ბოლი დაიზღაზნებო-
და და ქვარტლიანი ნათურების შუქს ძალას უკარგავდა (რ. ჯაფ.).

ჩემ მქვარტლიან სახლში ვიყავი (ვაჟა).

კვირცხლი || მკვირცხლი

[ნისლს] წინ უხვდებო კვირცხლი ნიავე (ა. ყაზბ.).

ნ. ნიკოლაძე... ძალიან ახალგაზრდა იყო, მკვირცხლი, მოუსვენარი, ნი-
ჭიერი (აკაკი).

მეომარი ხარ მკვირცხლი და მალი (რ. ერისთ.).

ქარის... გრიალმა მკვირცხლი მტრედები შამი-შუმში მოიყვანა

(ს. მგალ.).

რგვალი || მრგვალი (ჩარგვალეზული)

[ლოკოკინას] რქების წვერებზე რგვალი შავი წერტილებივით ჰქონდა რა-
ღაცა, ეს მისი თვალეები იყო (თ. რაზიკ.).

ერთ კუთხეში დიდი რგვალი მაგიდა იდგა (გ. წერეთ.).

მათ შორის მხოლოდ რგვალი მინდორია დატოვებული (ნ. ლორთქ.).

ხელთ რგვალი ფარი ეჭირა, ლომის ძარღვებით გაწნული (გ. ლეონ.).

პატარა ხელის ლამფით გამოვიდა კარში სხვილი, ჩარგვალეზული
დედაკაცი (ვაჟა).

მელანომ... გადმოიღო... ყველი, მ რ გ ვ ლ ა დ მ ო ხ ა რ შ უ ლ ი კ ვ ე რ ც ხ ე ბ ი, ხ ე -
ლ ა დ ი თ ლ ე ი ნ ო (ა კ ა კ ი).

მუხლს აფარია ერთი პატარა მ რ გ ვ ა ლ ი ძ ვ ა ლ ი, რომელსაც კვირისტავს
გეძახით (ი . გ ო გ ე ბ).

სუბუქი || მსუბუქი

მადლი სუბუქია და ცოდო მძიმე განა, დედი? (ილია).

შეპყურებს მეფე ფარნას ქმნილებას, ჰაეროვან და სუბუქ შენობას

(გ . ლ ე ო ნ .) .

თვალდაბუჭულსა და ყურებლაცობილს შეუძლია გაიგოს... ნივთა... მიიმეა თუ
მსუბუქი (ი . გ ო გ ე ბ).

მას მსუბუქი ჩემოდანი ეჭირა ხელში (ა . ბ ე ლ).

მსუბუქად ივასშმა (ს . შ ა ნ შ).

ღარბაზს ჯერ მსუბუქმა ღიმილმა გადაურბინა („ციცხარი“).

სხვილი || მსხვილი

ამის თქმაზე ორი სხვილი ცრემლი ჩამოუგორდა თვალთავან (ილია).

რაც უფრო სხვილი წვიმა მოდის ზევიდან, იმდენად უფრო სხვილი თ
სეტყვა ჩნდება (ი . გ ო გ ე ბ).

მსხვილმა წვიმამ შემოაშხაპუნა აივნისაკენ (ა კ ა კ ი).

[მამამ] მსხვილი კუნძები მოაგროვა და ცეცხლი აანთო (ს . შ ა ნ შ).

ყუდრო || მყუდრო

[მინადირე] შევიდა ტყეში, აირჩია ყუდრო ადგილი, დაიხოქა, აღაპყრო
ხელები (ვ ა ჟ ა).

მე გავედი და ქოხის გვერდით ყუდროზე დავეჭეი გასამრობად

(ი . მ ქ ე ლ .) .

[ზამთარში] ფრინველები... მ ყ უ დ რ ო და თბილ ადგილებს ეძებენ

(ი . გ ო გ ე ბ).

შვენეირი || მშვენეირი, შვენება || მშვენება, შვენეირება || მშვენეირება.

სალომემ ჩონგურის შვენეირი დაკვრა იცოდა (გ . წ ე რ ე თ).

„შვენეირი ღვინოა“ — თქვა ლელენდერამ (რ . გ ვ ე ტ .) .

ო, რა მშვენეირია ბუდეშური მოვლილი (გ . ლ ე ო ნ .) .

ქართველსა გულმან როგორ გაუძღოს, ოდეს შვენება თქვენი იხილოს?

(ნ . ბ ა რ ა თ .) .

ზია-ხანუმ, შენც კი იცი, რომ მშვენებით განთქმულია (ა კ ა კ ი).

ალაზნის მშვენებაც მინახავს და კახური ნექტარიც ბლომად მისვამს

(ლ . გ ო თ .) .

პოლკოვნიკი გატაცებული იყო ვალიდას შვენეირებით (გ . წ ე რ ე თ).

მათთან ვიმღერებ ქართული სიტყვის მშვენეირებით (გ . ლ ე ო ნ .) .

ცვრიანი || მცვრიანი

ქუჩი გაწირეს ცვრიანი (ვ ა ჟ ა).

დილდილობით ცვრიან ველზე ფეხშიშველას უნდა გვერბინა (ა კ ა კ ი).

ჩაკვერცხილ დედალს ხლეჩავენ, მწვადი შემოდის ცვრიანი (გ . ლ ე ო ნ .) .

[ქროხის სუკი] ძალიან კი არ უნდა დავწვათ, მცვრიანი უნდა იყოს

(ბ . ჯ ო რ ჯ .) .

წვანე || მწვანე

[ალექსანდრას] ეცვა მუქი... კაბა, რომელზედაც ეყარა წვრილი ალისფერა, წვანეში შერთული ყვავილები (ლ. არღაზ.).

მწვანეა მუდამ წალკოტი, არასდროს თურმე არ ჰქნება (ილია).

წვიმდა და ნამი ანკარა მწვანე ბალახზე ცვიოდა (ვაჟა).

[ხეები] მწვანე ყანებში მოსავალს ქუდმოხდით ეგებებიან (გ. ლეონ.).

წითური || მწითური

ხალიჩაზე ორი... კენინა იჯდა... ერთი მსუქანი, წითური, მეორე გამხდარი და უფერო (ილია).

ერთსქელ, წითურ მუშას ანიშნა (გ. ფანჯ.).

ექიმი, მორჩილი ტანის წითური კაცი... ამჯერად ლაპარაკის გუნებაზე არ იყო (ს. კლდ.).

დაიყვირა დათოს მეზობლად მჯდომმა მწითურმა ახალგაზრდამ (რ. ჯაფარი).

ეს ჯანიანი, მწითური ქალი სულ იმას შესჩიოდა ლადოს (რ. ინან.).

ჭიდრო || მჭიდრო

ადგილს ვემწყვდითე ჭიდროსა, ქანჩახებს შორის უგზოსა (ვაჟა).

ამ ძაღლის მიხეზი იყო... მჭიდრო კავშირი და ერთობა ამერ-იმერთა (ი. გოგებ.).

წყაზარი || მწყაზარი

თვალ-წყაზარი ნათელა ახალ ტანსამოსში სასიამოვნო შესახედავი იყო (გ. წერეთ.).

კოშკს იჯდა ქალი მწყაზარი, როგორც ცისკარი დილისა (ბაჩ.).

[სატრფო] თმა-გამლილი და ნარნარი, ცურავს ტურფა და ლამაზი, ვეღვივთ თეთრ-მწყაზარი (კ. მაყ.).

ძალიან შემეჩვია ახალგაზრდა, ჯან-მაგარი, და წვემწყაზარი ქალი ასიათი („ცისკარი“).

ბზინავი || მბზინავი

გვადმი ახალთახალი, ნაირფერად ბზინავი ძვირფასი ჯემბრი კერძის ცეცხლის სინათლეზე ფართოდ გაშალა (ლ. ქიაჩ.).

შოშია ლამაზი ფრინველია, მბზინავი ბუმბულის პატრონი (ი. გოგებ.).

ბრწყინავი || მბრწყინავი

მწვანე ვერსად დაინახა, ყველგან ბრწყინავი თოვლი დახვდა (შ. არაგვ.).
შინ რომ მოვიდოდი, მე მეგონა, ის კაშკაში მთვარე, ის მბრწყინავი ვარკვლავები ჩემს ბედს შეჰნატრიან-მეთქი (ილია).

კვდარი || მკვდარი

ახლა კი კვდარს რაღას არგია ან ცოცხალსო (აკაკი).

არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს (ნ. ბარათ.).

ფრთხალი || მფრთხალი

მტირალა, ფრთხალი ბავშვია (ნ. ლორთქ.).

ქარის გრიალმა... მფრთხალი და მხდლი მტრედები შამიშუმში მოიყ-

ვანა (ს. მაგლობ.).

ცხუნვარე || მცხუნვარე (ცხუნვარება || მცხუნვარება)

თეთრმა ონტკოფამ რაკი იგრძნო ცხუნვარე სხივი მზისა, ყვავილთა ჩრდილს ამოფარა (ა. ჭუმბ.).

იენისის მცხუნვარე ცხრათვალა მზე ელვარებდა თბილისში (ნ. კეცხ.).

დასავლეთისაკენ გადახრილი მზე მომეტებულის ცხუნვარებით შე-
მოსწოლოდა დარაბებს (კ. გამსახ.).

მზეს ცხუნვარება აკლდა („ლიტ. საქ.“).

იქნება იმ ცეცხლს სიმღერით ვერ ვემცხუნვარები (გ. ლეონ.).

ყინვარი || მყინვარი

ზევარავენ და ამზადებენ ტრასას, 23 მთავლელი იყო ოქტომბრის ყინ-
ვარზე („ლელო“).

ყინვარსა და საბჭოთა ესტონეთზე ჯგუფს თან ახლდნენ ტელევიზიის
ოპერატორები („ლელო“).

[ალბინისტები] ავიდნენ რა სამხრეთ უშბის ციცაბო კლდოვან კედელზე,
კლდოვანი წახნავით დაეშენენ გულის მყინვარზე („კომუნისტი“).

ჩხავანა || მჩხავანა

ჩხავანა კატაო, სწორედ ამისთანა კაცებზე არის ნათქვამი (ი. მაქავ.
თარგმ.).

შეკამს მთელს სოფელს, რომ მოინდომოს, მჩხავანა ტურა ან წუწკი
მელა (ვაჟა).

ყივანა || მყივანა

ყველაზე წინ სლოკინით გარბოდა კანჭა მამალი, ზედმეტ სახელად ყივანას
რომ ვეძახით (ვ. ძიძიგ. თარგ.).

[მედოლუმ] თასისა და დოლის შეწყობილ ხმას მყივანა ხნით ფიცხელი
სიმღერა ააყოლა (რ. გვეტ.).

ჭმუნვარება || მჭმუნვარება

[სვიმონის შეილები] საერთო ჭმუნვარებას შეეპყრო და დაელონებინა
(ა. ყაზბ.).

ჭოი, სალამოვ, მყუდროვ, საამოვ... როს მჭმუნვარება შემომესევია,
შენდა მოვილტვი განსაქარებლად (ნ. ბარათ.).

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამგვარ სიტყვათა განსხვავე-
ბული დაწერილობა გვხვდება არა მარტო სხვადასხვა მწერლის ენა-
ში, არამედ ერთისა და იმავე ავტორის ნაწერებშიც, მაგალითად:

ღევი || მღევი

გასცილდნენ „ღევის ნამუხლსა“ (რ. ერისთ.).

გასცილდნენ იმ ადგილს, სადაც მღევს ჩაუდრევია ქვანი (რ. ერისთ.).

... ურემში შებმული აზავერები და კამეჩები — დევის თავებით (გ. ლეონ.).

ბევრი უნახავს სამშობლოსათვის აზრი ძლიერი, ღონე მღევური

(გ. ლეონ.).

ტრედი || მტრედი

წინანდლის ვარდო, სულითა ტრედო (გრ. ორბ.).

ვით ტრედი მადლის, მშვიდი და წყნარი, ეგრეთ მშვენებით მოვალს

თამარი (გრ. ორბ.).

ნუ ფრთხი უგუნურ ტრედივითა (ილია).

გამიფრინდა ჩემი ნოეს მტრედი (ილია).

რაკი ტრედის ფრად ცა ინათებდა (ილია).

გაოუნდა მტრედის ფრად (ილია).

შენ, ტრედონა თოვლეთურო, თითონ მტრედის ფრთავ (გ. ლეონ.).

ღვდელო || მღვდელო

ამის თქმა და ღვდლის ფეხის მოსხლეტა ერთი იყო (ილია).

მღვდელო გაფითრდა (ილია).

ღვიმე || მღვიმე

პატარა ქალები გააბარა ღვიმის მონასტერში (აკაკი).

მღვიმის მონასტერში ორი ღები იზრდებოდა (აკაკი).

შველი || მშველი

რას მირბი, ქალავ, სად მირბი, როგორც დამფრთხალი შველი? (რ. ერისთ.).

ველურსა ღორსა, მშველსა და თარსსა... (რ. ერისთ.).

შვილდი || მშვილდი

აბღუშპაილმა შვილდ-ისარი მოიმარჯვა (აკაკი).

მოლუნეს მშვილდი, მოსდევს საცერე და ერთმანეთსა სტყორცნეს ისარი (აკაკი).

[იოთამმა] მგელი ნახა ტყეში, მოიმარჯვა შვილდი (ვჟა).

[იოთამმა] მშვილდი და კაპარტი... დელაბოშე... მიმაგრებულ ირმის რქაზე ჩამოჰკიდა (ვჟა).

კახთ... ბატონისაგან მსმენია, რომ ნადირობა შვილდ-ისრით არის რაინდული და ვაჟკაცური (ლ. გოთ.).

მშვილდ-ისარი კი განწყობილად მოეზიდა (ლ. გოთ.).

შენ ახალწლისთვის ბავშვებს უცხოზღი პურის ხმელებს, შუბებს და შვილდ-ისარსა (გ. ლეონ.).

მშვილდის საბელით დაახრჩვეს შარაველ (გ. ლეონ.).

ჭადი || მჭადი

ათ ღდეს ვერც ცხენებზე შეეჯექით, არც პირში ჭადის ნატეხი გვექონია (პ. ამირეჯ.).

ჭონიამ ... ამას, რატომღაც, ცივი მჭადი, ნიორი და შაქარი დააყოლა

(პ. ამირეჯ.).

კაკოიაა, თუ რაცხა ჭადის ნატეხი (შ. აკობ.).

ჩამოვიყვანე ის როინია, თუ ვინცხა მჭადის ნატეხი (შ. აკობ.).

ჩვარი || მჩვარიანი

წყდება ბრძოლა და ჭრილობას აღარ ჰყოფნის ქვეყნად ჩვარი (გ. ლეონ.).

ყველა ღღეები იყო მჩვარიანი (გ. ლეონ.).

წნილი || მწნილი

ბრიგადირი კომბოსტოს წნილის ქამით გამოდის აივანზე (რ. ინან.).
კიტრის მწნილს ქამდა (რ. ინან.).

რგვალი || მრგვალი

ეს ლურჯი ლოდი ერთი შეხედვით... დარგვალე ბული საფლავის ქვა
გეგონებოდათ (გ. შატბ.).

... უმთავრესად მრგვლად „გამოკვერცხილი“ ქვებს ჰგავდა (გ. შატბ.).

სხვილი || მსხვილი

ამის თქმაზედ ორი სხვილი ცრემლი ჩამოუგორდა თვალთაგან (ილია).
თავი ისეთი მსხვილი იყო, რომ, თითქოს იმის სიმძიმეს მორგევით
სქელი კისერი მხრებში ჩაუჭვრენიაო (ილია).

რად მელაპარაკებთ მაგრე სხვილ-სხვილებს? (ვაჟა).

პატარა ხელის ლამფით გამოვიდა კარში მსხვილი, ჩარგვალე ბული დედა-
კაცი (ვაჟა).

არწივი წყვეტით დაცა, ვით სხვილი სეტყვის მარცვალი (გ. ლეონ.).

ყალუზე დგებოდნენ, აღვირებს ჰგლეჯდნენ მკერდში დამდგარი მსხვილად
ცხენები (გ. ლეონ.).

მარცხენა ჯიბეში ორი ჯიხვის თვალის სისხო ოქრო ედვა (კ. გოგ.).

მამაშენი შენზე მოხუცი არ იყო, მუშტის სიმსხო ოქრო რომ ნახა...

(კ. გოგ.).

ჩემს პირდაპირ გაწყობილ სუფრას ვილაც სხვილკისერა კაცი უჯდა

(კ. გამსახ.).

სახეზე მსხვილად ნაკეცი და ღაროვანი ნაოჭები გაღრმავებოდა

(კ. გამსახ.).

ფრთხალი || მფრთხალი

ერთი არის თავმომწონე, გამბედავი... მეორე არის გულჩათუთქვილი, ილაჯ-
გაწყვეტილი, ფრთხალი და გათელილი (ილია).

იგი არ იყო შიშის ურჯოლა, შიშის კანკალი, იგი არ იყო ძვრა გულისა,
მფრთხალი და მხალაი (ილია).

შვენება || მშვენება

შენს წმინდა სახეს, შვენებით სავსეს... (გრ. ორბ.).

... ეგრეთ მშვენებით მოვალს თამარი (გრ. ორბ.).

ვის არ მოხიბლავს შვენება წრფელი (გ. ლეონ.).

რამ ააყვავა შენი მშვენება? (გ. ლეონ.).

ჭმუნვარება || მჭმუნვარება

სვიმონის შვილები საერთო ჭმუნვარებას შეეპყრო (ა. ყაზბ.).

სახეზე ეტყობოდა ჩაფიქრება, მჭმუნვარება (ა. ყაზბ.).

ყურადღებას იქცევს აგრეთვე მ-ანიანი ფორების ხმარების სხვა
შემთხვევები:

მხვედრი: და განმასვენე კვეთებათაგან ბოროტ მხვედრისა (გრ. ორბ.).

მაგრამ მე მხვედრისა ჩემსა ვერ ვპოვებ... (ნ. ბარ.)

მფრინველი: გულში თუ რამ გაქვს დალატი და ქსუობ როგორც მფრინ-
ველი (რ. ერისთ.).

ჩემს ქალს არ უფრთხის ნადირი თუ მფრინველი (ვ. ბარნ.).

მკალი: მინდორი მკალმა მოძოვა, ბლავის ცხვარი და ფურია (რ. ერისთ.).

მცბიერი: რატომ სხვებს კი არ უვსებ ეგრე პირამდინ, ჰა? შე მცბიერო
ძაღლო, შენა (დ. შაჩხ.).

მბრწყინვალე: სასწავლებლებით მბრწყინვალეს ჰყვანდა მრავალი
ჯარია (რ. ერისთ.).

მსწავლული: ათიოდე კარგი მსწავლული ყმაწვილები რომ ეიშოვნე,
იმედი მაქვს (რ. ერისთ.).

ასევე ერთმანეთის პარალელურად გვხვდება:

ბღვინვარე||მბღვინვარე, ბღვინავი||მბღვინავი, ბჟუტავი||მბჟუ-
ტავი, დოგვი||მდოგვი, დივანი||მდივანი, ზვარე||მზვარე, კლავი||მკლავი,
კვახე||მკვახე, კვეთრი||მკვეთრი, კვრივი||მკვრივი, კრჩხალი||
მკრჩხალი, ლაშე||მლაშე, ჟავე||მჟავე, სუნავი||მსუნავი, სუქანი||მსუ-
ქანი, სუსხავი||მსუსხავი, სხალი||მსხალი, სხვებლი||მსხვებლი, ტვე-
რი||მტვერი, ტვრიანი||მტვრიანი, ტკაველი||მტკაველი, ტერი||მტერი,
ტუტე||მტუტე, ფსონი||მფსონი, ღვრიე||მღვრიე, ყოფადი||მყოფადი,
ჩატე||მჩატე, ჩუტე||მჩუტე, შვიდობა||მშვიდობა, შობიარე||მშობიარე,
ძაღე||მძაღე, ძახველი||მძახველი, წარე||მწარე. წვეარი||მწვეარი, წვა-
ვე||მწვავე, წიფობისთვე||მწიფობისთვე, წკლარტე||მწკლარტე, წუ-
თხე||მწუთხე, წუხრი||მწუხრი, წყერი||მწყერი, წივანა||მწივანა, ჭახე||
მჭახე, ჭიდრო||მჭიდრო, ჭმუნვარე||მჭმუნვარე, ჭყივანა||მჭყივანა,
ხვიარა||მხვიარა და ა. შ.

საგულისხმოა, რომ ზემოჩამოთვლილ შემთხვევებში აღნიშნუ-
ლი პარალელიზმი უმანო და მანიანი ფორმებისა დასტურდება აგ-
რეთვე სახელებისაგან ნაწარმოებ გვარებში:

შველიძე და მშველიძე

შვენიერაძე და მშვენიერაძე

შვიდობაძე და მშვიდობაძე

სხალაძე და მსხალაძე

სუქნიშვილი და მსუქნიშვილი და სხვ.

აქ მოხმობილი მასალიდან ჩანს, რომ თანამედროვე ქართულში
ჩვენ მოგვეპოვება არაერთი სახელი, რომლებშიც თავკიდური მ-
ბგერა შეიძლება გვხვდებოდეს და შეიძლება არა; ამის გამო მანიანი
და უმანო ფორმები ერთმანეთის გვერდით პარალელურად განა-
გრძნობდნენ არსებობას.

ბუნებრივია დაისვას კითხვა: სად უნდა ვეძიოთ ამ პარალელიზ-
მის სათავე?

აქ შეიძლება შემდეგი შემთხვევები გამოიყოს:

1. ძველ ქართულში სახელს მოეპოვებოდა თავკიდური მ და ახალ ქართულში კი გაქრა. ასეთებია:

მფრინველი (ახალ ქართულში **ფრინველი**): მოვიდეს მ ფ რ ი ნ ვ ე ლ ნ ი ცი-სანი და შეჭამეს იგი (მ. 13.4); ნუ უტეობ მ ფ რ ი ნ ვ ე ლ თ ა გარდამოსვლად (**მამათა სწავლანი**); შდრ. ახალი ქართულის: მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო, ვით ფ რ ი ნ ვ ე ლ მ ა გარეგანმა (ილია).

მბრწყინვალე (ახალ ქართულში **ბრწყინვალე**): სამოსელი მისი იქმნა მ ბ რ წ ყ ი ნ ვ ა ლ ე და სხეტაკ ვ ა თოვლი (მრ. 9.3).

მქვშა (ახალ ქართულში **ქვიშა**): რომელმან აღაშენა სახლი თვისი მ ქ ვ შ ა ს ა ზედა (მ. 7.26).

მხავსი (ახალ ქართულში **ხავსი**): ზროხა და ცხვარი დაკლული არს უმრავლესი მ ხ ა ვ ს ი ს ა („ვეფხისტყაოსანი“).

მკალი (ახალ ქართულში **კალია**, დიალექტებში **კვალი**): საზრდელად მისა იყო მკალი და თავლი ველური (მ. 3.4); ჭამდა მკალსა და თავლსა ვე-ლურსა (მრ. 1.6) და მრავალი სხვა.

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში ვხვდებით არა-ერთ სხვა სახელსაც, რომელთაც დღეს აღარ მოეპოვებათ თავკიდუ-რი მ; ასეთებია: **მბრწამლი** (შდრ. ახ. ქართ. **ბრწამლი**), **მწავი**, **მციყ-ვი**, **მთაქვ**, **მწვიტინი**, **მწყრთა**, **მჭავლი**, **მწერო** და სხვ.

ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებისა და გან-ვითარების გზაზე საწინააღმდეგო მოვლენასაც დაურჩა ადგილი: აღ-რე ამა თუ იმ სახელს არ მოეპოვებოდა თავკიდური მ და შემდგომ გაუჩნდა:

შუენიერი (ახალ ქართულში **მშვენიერი**): არნ ოდესმე პირუტყუ შუენი-ერი... („მამათა სწავლანი“).

რომე ვეფხვი შვენიერი სახედ მისად დამისახავს... („ვეფხისტყაოსანი“).
შდრ. მ შ ვ ე ნ ი ე რ ო, შენ გეტრფი... (აკაკი).

ტრედი (ახალ ქართულში **მტრედი**): იხილა სული ღმრთისაა გარდამომავლო მის ზედა ვ ა ტ რ ე დ ი (მ. 3.16).

ტევანი (ახალ ქართულში **მტევანი**): ტკბილი და შუენიერი დამწიფდა ტე-ვანი მათისა მის მოძღვრებისა ნამუშავეთა (**ბასილ ზარზმელი**).

შდრ. მაშინ იხარებს მწიდანავი, ოდეს მოისთელის მ ტ ე ვ ნ ე ბ ს ა (დ. გურ.).

ყუდრო (ახალ ქართულში **მყუდრო**): შე-რაა-მწუხრდის, სთქვთ: ყუდრო იყოს, რ წითს ცაბ (მ. 16); შდრ. ჰოი საღამოვ, მ ყ უ დ რ ო ვ, საამოვ, შენ დამშობი ჩემად სანუგეშებლად (ნ. ბარათ.).

ქართული ენის თანამედროვე კილოებში ზოგჯერ ძველი ქარ-თულის სწორედ ეს ფორმებია შემონახული: **ტრედი**, **ტევანი**, **ყუდრო**, **სხალი** და სხვ.

ცხადია, რომ ეს ორი მიზეზი ქმნის თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში პარალელური ფორმების არსებობის საფუძველს, მაგრამ აუცილებლად ყურადსაღებია მესამე მიზეზიც — გავლენა თანამედროვე დიალექტებისა.

ქართული ენის დიალექტებში სახელის თავკიდურად მ ბგერის დაკარგვა-გაჩენის პროცესი საკმაოდ გავრცელებული ჩანს. დავკმაყოფილებით რამდენიმე ნიმუშის დასახელებით¹.

აღმოსავლური დიალექტები:

მდევი უნდა მოიღესო (188.9); ამ ოქრომ დედალმა გაამდიღრა ვლესი, რომითქმის მცახ ხელ აწვდიდა (182.29); იმ ქალმა მძვალი მძვალზე შააბა (201.30); ნემსებივით მწვეტი რკინის ჩხირები ჰქონდა (129.35); ის მცხვრები შეერთდა სულა (289.4) და სხვ.

დასავლური დიალექტები:

ჭადის თშუარი რომ ამოდისო... (418.11); იმ დღეს ცხრაი ტკაველი თოვლი მოსულიყო (418.20); გელმა ძროხა მუყუყანა (427.20); მოგვეცი იმის ქნელი (425.9); შევიდა აი კაცი შიერი (425.15); ძროხა გაეცათ თაში (434.5); კაი სუქანი ცხვარი რო იქნება... (446.9), შემოაჯდა... ხრებზე (449.8); ჩვენ წარე კვახს ვხმაროფთ (462.12); ამ ლაპარაკს ყური მოკრა გზავრმა (277.6) და სხვ.

მასალაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ აღმოსავლური დიალექტებისათვის ბუნებრივი ჩანს მ-ს განვითარება (მცა, მზალი, მძვალი...), ხოლო დასავლურისათვის — მ-ს დაკარგვა (შიერი, წარე, გელი...).

მაშასადამე, ის გარემოება, რომ სახელებში თავკიდურად არის ან არ არის მ ბგერა, შემდეგით აიხსნება:

1. ამა თუ იმ სახელს მოეპოვებოდა თავკიდური მ. ახალმა სალიტერატურო ენამ იგი დაკარგა. ძველი ფორმა მწერლის მიერ შეგნებულადაა შემოტანილი თანამედროვე სამწერლობო ენაში როგორც არქაიზმი, მაგ. მზღვარი, მწითური...

2. სახელს ისტორიულად არ მოეპოვებოდა თავკიდური მ და შემდგომ განუვითარდა. ძველი ვითარება შემორჩენილია თანამედროვე მწერლის ენაში (შვენება, სუბუჭი, ტრედი...).

3. ამა თუ იმ დიალექტური წრის წარმომადგენელ მწერალს ნებისთუ უნებლიეთ შემოაქვს თავისი დიალექტისათვის დამახასიათებელი ფორმები (წნილი, ჭადი² და სხვ.).

¹ ნიმუშები ამოკრებილია ი. გივინეიშვილის, ვ. თოფურიას და ი. ქავთარაძის წიგნიდან — „ქართული დიალექტოლოგია“, I, თბილისი, 1961.

² ისტორიულად იყო ჭადი (იხ. ივ. იმნაიშვილის „მჭადისა და მწვადის ეტი-

თავკიდური მ ბგერა სახელებში ან

1. ენის განვითარების დღევანდელ საფეხურზე უფუნქციოა და ფუძის შემადგენლობაში შედის (მტრედი, მშველი); მაგრამ ასეა მხოლოდ თანამედროვე ქართულის თვალსაზრისით. ისტორიულად მ გარკვეული დანიშნულების მქონე აფიქსი იყო: მაგალითად, სიტყვაში მწითური მ ადამიანის კლასკატეგორიის ექსპონენტია³.

ან

2. თავკიდური მ თანამედროვე ქართულში სახელებში აფიქსს წარმოადგენს და გარკვეულ ფუნქციას ასრულებს:

ა. თავსართია და აწარმოებს:

1. მარტო ან -ელ, -არ(-ალ) და სხვა ბოლოსართებთან ერთად მოქმედებითი გვარის მიმღობას: მ-ბარავ-ი, მ-კერავ-ი, (მო)-მ-ტან-ი, მ-შენებ-ელ-ი, მ-ხატვ-არ-ი, მ-წერ-ალ-ი...

2. -არ (-ალ) ბოლოსართთან ერთად დინამიკურ გარდაუვალ ზმნათა ნამყო დროის მიმღობას: და-მ-დგ-არ-ი, ამო-მ-შრ-ალ-ი...

3. მარტო ან -არ(-ალ), -არე(-ალ-ე) ბოლოსართებთან ერთად სტატიკურ ზმნათა აწმყო დროის მიმღობას: მ-დინ-არ-ე, მ-ტირ-ალ-ი, მ-დგომ-არ-ე, მ-ხურვ-ალ-ე...

ბ. სხვა შემთხვევებში მ ფუძისეული ჩანს.

სახელებში თავკიდური მ-ს გაჩენის თუ დაკარგვის საკითხის ნორმატული თვალსაზრისით დასმა სამეცნიერო ლიტერატურაში ახალი არ არის. ჯერ კიდევ გასული საუკუნის დამლევეს პ. ჭარაიამ მიაქცია ყურადღება ზოგი ამგვარი სიტყვის მართლწერას. პ. ჭარაიამ მართებულად აღნიშნა, რომ ზოგ სიტყვაში (მსხვილი, მშვენიერი, მსუბუქი...) მ მეორეულია. მისი აზრით, ჩამოთვლილ სიტყვებში მ გაჩენილია წარმოთქმის გასაადვილებლად. მკვლევარს მართებულ ფორმებად მიაჩნია: მშვენიერი, მსხვილი, მსუბუქი, მწვანე და მისთ⁴.

მანიანი სიტყვების მართლწერის საკითხებს ეხებოდა სილ. ხუნდაძე. მისი აზრით, რადგან ქართული ენა დაადგა „გამარტივ-გაადვილებისა და ფორმების გაწმენდის გზას“, მართებულია და სამწერლო ენაში უმანოდ უნდა იხმარებოდეს შემდეგი სიტყვები: „დევი, დივანბეგი, დოგვი, კალია, კვარი, კვდარი, კვირცხლი, კვეთრი, მარ-

„მოლოგიისათვის“, ორიონი, 1967), მაგრამ დღეს ჭადი გურული ან იმერული დიალექტებშია.

3 არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი, 1942, გვ. 147.

4 პ. ჭარაია, ქართული სალიტერატურო ენა და ქართული მართლწერა, 1895.

თველი (მართველობა, სამართველო), მართებლობა, რგვალი, სუბუ-
ქი, სუნაგი, სუქანი, სწავლული, სხალი, სხვერპლი, სხილი, ტევანი,
ტკაველი, ტრედი, ფრინველი, ღვდელი, ღვთაება, ღვთისმშობელი,
შვილდი, ჩვარი, ციყვი, ცვიფრი, ცხედარი, ძევალი, წვანილი, წვერი,
წვადი, წვეტი, წნილი, ჰადი, ჰვალი, ჰვარტლი, ხვედრი“. მასვე აღ-
ნიშნული აქვს, რომ „ნაწარმოებ ფორმებში ზოგიერთს ამ სიტყვათა-
განს ხმოვნის შემდეგ მ-ის ჩართვა უხდება, მაგალითად: სამსხვერ-
პლო, იმსხვერპლა, უმსხვერპლა, სიმსუქნე, სიმსუნაგე, სიმსუბუქე,
შემსუბუქება, სამტრედია და სხვაო“⁵.

როგორც ვხედავთ, ს. ხუნდაძეს, ერთი მხრივ, მოხმობილი აქვს
ზოგი საანალიზო სიტყვა ძველი ორთოგრაფიით, ხოლო, მეორე
მხრივ, მოჰყავს დიალექტური ფორმები.

ზემოთ აღნიშნულია, რომ თავკიდური მ-ს დაკარგვა დასავლუ-
რი დიალექტებისათვისაა დამახასიათებელი. ს. ხუნდაძის მიერ უმა-
ნო ფორმების მიჩნევა სალიტერატურო ენის თვალსაზრისით მართე-
ბულ ფორმებად ამ ფაქტის გამოძახილს წარმოადგენს.

ამავე შრომის სხვა ადგილას ს. ხუნდაძე სრულიად სამართლიან-
ნად აღნიშნავს, რომ **მსწავლულ**-ში თავკიდური მ არამართებულადაა
ნახმარი. იგი იძლევა ამ სიტყვის დაწვრილებით ანალიზს — **მსწავ-**
ლული წარმოშობით ნამყო დროის ვენებითი გვარის მიმღეობაა, რო-
მელსაც არასოდეს არ ემატება მანო. ამდენად უნდა იწერებოდეს
სწავლული და არა **მსწავლული**⁶.

მანიან და უმანო ფორმებს ერთმანეთის პარალელურად ვხვდე-
ბით ჰანს ფოგტის ნაშრომში⁷: **დოგვი** და **მდოგვი**, **თხლე** და **მთხლე**,
კალია და **მკალია**... აქ ეს სიტყვები მოხმობილია თავკიდური კონ-
სონანტური ჯგუფების ნიმუშად.

მ-ს დაკარგვა-განვითარებას ეხება ივ. ქავთარაძე თავის მონო-
გრაფიაში⁸. ნაშრომში გარკვეულია, თუ რა ბგერების წინ ხდება **მ-ს**
განვითარება და დაკარგვა.

ივ. იმნაიშვილმა სპეციალურ სტატიაში წარმოადგინა ორი
სიტყვის — მჭადისა და მწვადის — ეტიმოლოგია. როგორც ერთი,

5 ს. ხუნდაძე, ქართული მართლწერისა და სწორენის ძირითადი საფუ-
ძელები, ქუთაისი, 1927, გვ. 49.

6 ს. ხუნდაძე, იქვე, გვ. 44.

7 ჰ. ფოგტი, ქართული ენის ფონემატურბ სტრუქტურა, ქართული თარგმა-
ნი, თბილისი, 1961.

8 ივ. ქავთარაძე, ქართული ენის ისტორიისათვის (XII—XVIII სს.), I,
1969, გვ. 174-180.

ისე მეორე მან მიიჩნია ე. წ. გერუნდიულ მიმღეობად, რომელთაც თავკიდური მანი ფონეტიკურად აქვთ განვითარებული⁹.

როგორც წარმოდგენილი მასალა გვიჩვენებს, მანიანი სახელების უმრავლესობა მიმღეობებია და ასეთ ფორმებში მ აფიქსია.

გამოიყოფა სხვადასხვა მაწარმოებლიანი მიმღეობები: ოდენ მ-პრეფიქსით ნაწარმოები: მ-ბჟუტავ-ი, მ-ბრწყინავ-ი, მ-ბზინავ-ი, მ-ბღღვინავ-ი, მ-სუსხავ-ი... აგრეთვე: მ-წივანა, მ-ჩხავანა, მ-ჭყივანა, მ-ცივანა... მ-პრეფიქსითა და -არე სუფიქსით ნაწარმოები: მ-შობი-არ-ე, მ-ბღღვინვ-არ-ე, მ-ცხუნვ-არ-ე, მ-ღულ-არ-ე, მ-ჭმუნვ-არ-ე, მ-ძინ-არ-ე, მ-ღვიძ-არ-ე, მ-დინ-არ-ე, მ-ღუმ-არ-ე, მ-წუხ-არ-ე...

მ-პრეფიქსითა და -არ სუფიქსით ნაწარმოები: მ-კვდ-არ-ი, მ-ყინვ-არ-ი, მ-წევ-არ-ი... სუფიქსისეული რ თანხმოვნის დისიმილაციით: მ-ფრთხ-აღ-ი, მ-კრთ-აღ-ი...

ცალკე გამოვყოფთ ისეთ ზედსართავ სახელებს, რომელთაც თავკიდურ ბგერად მოუღიოთ მ, ხოლო ბოლოში აქვთ ხმოვანი ე (როგორც ზემოთ აღნიშნა, ასეთ შემთხვევაშიც თავკიდური მანი იკარგება); ასეთებია: მ-კვახ-ე, მ-წვან-ე, მ-წვირ-ე, მ-ჭლ-ე, მ-ჭახ-ე, მ-წუთხ-ე, მ-წკლარტ-ე, მ-წიფ-ე, მ-წარ-ე, მ-ძაღ-ე, მ-ჩატ-ე, მ-ღვრი-ე, მ-ტუტ-ე, მ-ჟავ-ე, მ-ლაშ-ე, მ-ძიმ-ე, მ-ღარ-ე, მ-სუყ-ე და სხვ.

სპეციალურ ლიტერატურაში მ და ე მიჩნეულია ზედსართავი სახელის თანაბრობითი ხარისხის მაწარმოებლად ისევე, როგორც ეს გვაქვს მეგრულში. მ—ე წარმოებასთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ იგი უძველესი წარმოშობისაა¹⁰. ფაქტია, რომ მ ამ ფორმებში აფიქსს წარმოადგენს.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ თავკიდური მ ხშირ შემთხვევაში ფუძისეულად უნდა იქნეს მიჩნეული თანამედროვე ქართულის თვალსაზრისით. მხედველობაში გვაქვს ამ რიგის მანიანი სახელები: მშვილდი, მშვიდი, მწვერვალი, მკერდი, მკლავი, მკვიდრი, მსუქანი, მსხვერპლი, მტარვალი, მტერი, მტვერი, მღვიმე, მღვდელი, მღოგვი, მგელი, მძორი და ა. შ.

სხვა შემთხვევაში თავკიდური მანი ფონეტიკურად ჩანს განვითარებული: მტრედი, მტევანი, მსხალი, მსხვილი, მშვენიერი, მყუდრო, მყუდროება, მკვრივი, მსუბუქი¹¹...

⁹ ივ. იმნაიშვილი, მჭადისა და მწვადის ეტიმოლოგიისათვის, ორიონი, 1967, გვ. 165-172.

¹⁰ გ. როგავა, ზედსართავის თანაბრობითი ხარისხის გაქვევებული ფორმები ქართულში, იკე, IX—X, 1958, გვ. 101.

¹¹ არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი,

მამასადამე, თანამედროვე ქართულში თავკიდური მ ან გვევ-
ლინება ცალკე ან სუფიქსთან ერთად მიმღეობის მაწარმოებლად, ან
ფუძისეულია, ან კიდევ ფონეტიკურადაა განვითარებული. ყველა
ჩამოთვლილ შემთხვევაში შეინიშნება თავკიდური მანის გაჩენა ან
დაკარგვა და, მამასადამე, მოცილე პარალელურ ფორმათა წარმო-
შობა სალიტერატურო ენაში.

ცხადია, ისეთ შემთხვევებში, როცა თავკიდური მ ცალკე ან
სუფიქსთან ერთად მიმღეობის მაწარმოებელია, უნდა სიტყვას შერ-
ჩეს იგი. ამდენად, უნდა დადასტურდეს სალიტერატურო ენაში ფორ-
მები: მბჟუტავი, მბრწყინავი, მზონავი... მცხუნვარე, მჭმუნვარე,
მწუხარე... მკვდარი, მყინვარი, მფრთხალი..., მშობელი...

ამ ტიპის სიტყვები, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ამავე სახით
ჩნდებოდა ძველ ქართულშიც.

ამგვარადვე წყდება მ—ე პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოები ზედ-
სართავი სახელების მართლწერის საკითხი. მხედველობაში გვაქვს
მწვანე, მწვირე, მწკლარტე, მჭლე, მლაშე, მდარე, მსუყე და ა. შ.
ფორმები. ეს ზედსართავები ძველი ჩანს და თავკიდური მანით დას-
ტურდება უძველეს ქართულ ძეგლებშიც. მაგალითად:

ტიროდა მ წ ა რ ე ლ (მ. 26.75).

რაი-ლა მ წ ა რ ე არს ბნელი იგი და წყვედილი (მამათა სწავლანი).

ნუმცა განხულ ამიერ ტურთ-მ ძ ი მ ე შეშითა (მამათა სწავლანი) და სხვ.

თავკიდური მ თანხმოვანი რჩება აგრეთვე იმ შემთხვევებში,
როდესაც იგი დღეს აღარ გამოიყოფა როგორც აფიქსი და ფუძეს
მიეკუთვნება: მკერდი, მკლავი, მკვიდრი, მსხვერპლი, მტარვალი,
მტვერი, მღვიმე, მღვდელი, მწყემსი, მღოვვი, მდიდარი, მგელი,
მძორი და ა. შ.

ამ სიტყვებში თავკიდურ მ-ს მხარს უჭერს ტრადიციაც — ძველ
ქართულში მხოლოდ მანიანი ფორმები დასტურდება, მაგალითად:

განიყარეთ მ ტ უ რ ი ფერკთავან თქუნთა (მ. 10.14).

იყვენ მ ტ ე რ მამასახლისისა სახლეულნი თსნი (მ. 10.86).

სადაცა იყოს მ ძ ო რ ი, მუნცა შეკრბეს ორბები (მ. 24.28).

მ გ ე ლ ო მტაცებლო, არა შევშინდები შენგან (მამათა სწავლანი).

სხუანი შთათხინენ მ ღ ვ მ ე ს ა ქუესკნელისასა (მამათა სწავლანი).

... მჭედართა მბრძოლთა სახლებსა ჰკიდავენ მრავალფერი საჭურველი: ფარები
და მ შ უ ლ დ-კაპარტები შემზადებულები (მამათა სწავლანი).

1938, გვ. 104, 174; ივ. ი მ ნ ა ი შ ე ი ლ ი, მკადის და მწვადის ეტიმოლოგიისა-
თვის, ორიონი, 1967, გვ. 165-172.

დასასრულ, საკითხი ეხება იმ სიტყვებს, რომლებშიც თავკიდური მანი ისტორიულად ფუძის კუთვნილება არ არის და ფონეტიკურ დანართს წარმოადგენს. ტრედი, ტევანი, სხალი, სხული, შუენიერი, ყუდრო, კვრივი, სუბუქი, ჭადი, წვადი...

თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში ეს სახელები თავკიდური მანით გვხვდება და მათს ასე ხმარებას მხარს უჭერს გავრცელებულობა. ამდენად, თუ დღეს რომელიმე მწერლის ენაში უმანო ფორმებს ვხვდებით, დღევანდელი სალიტერატურო ენის თვალსაზრისით ეს ფაქტი დიალექტიზმად (ან, იშვიათ შემთხვევაში, არქაიზმად) უნდა იქნეს მიჩნეული.

როგორც ზემოთ აღინიშნა, გვაქვს არაერთი შემთხვევა, როდესაც ძველ ქართულში სახელს თავკიდური მანი მოეპოვებოდა, მაგრამ თანამედროვე ქართულში უაფიქსო ფორმებია ერთადერთი, მაგალითად: ბრწყინვალე — მბრწყინვალე; ფრინველი — მფრინველი; ქვიშა — მქვიშა; ... ასევე იხმარებოდა მცბიერი, მზღვარი, მწერო, მხვედრი და ა. შ.

დროთა განმავლობაში ენაში დამკვიდრდა ამ სახელთა უმანო ვარიანტი. თუ ზოგი მწერლის ენაში დღესაც ვხვდებით ზოგიერთ ძველ ფორმას, ეს ენის არქაიზაციისაკენ ამ მწერალთა ერთგვარი მიდრეკილების გამოვლინებას წარმოადგენს.

თანამედროვე სალიტერატურო ენაში პარალელურ ფორმათაგან (მჭადი||ჭადი, მშვილდი||შვილდი, მსხვილი||სხვილი...) უნდა დადასტურდეს მანიანი ფორმები: მბრდღვინავი, მგელი, მდოგვი, მზვარე, მკბენარი, მკერდი, მკვანე, მკვირცხლი, მკვრივი, მკლავი, მრგვალი, მსუბუქი, მსუნავი. მსხვერპლი, მტევანი, მტვერი, მტრედი, მღვდელი, მღვრიე, მყინვარი, მშვენება, მშვიდობა, მშვილდი, მჩატე, მჩხავანა, მცივანა, მცხუნვარე, მძალე, მძორი, მწვირი, მწვერვალი, მწიფე, მწკლარტე, მწნილი, მწყემსი, მჭადი, მჭიდრო, მჭლე და მისთ.

სალიტერატურო ენაში უნდა დარჩეს შემდეგი უმანო ფორმები: ჩვარი, შველი, დევი, ჭვარტლი, ზღვარი, ჭვალი, კვარი, ტუბი, წვეტი, ხვედრი, ცვრიანი და მისთ.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში ეს საკითხი სწორედ ამგვარადაა გადაჭრილი ნორმატიული თვალსაზრისით¹².

¹² ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას რედაქციით, ტ. ტ. I—VIII; თბილისი, 1950—1964; ვ. თ. ფურია და ივ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი, 1969.